ბრძანება:**ბ32. 8624226001**
თარიღი:**13/08/2024**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ სარგებლობაში არსებული, თუშეთში სოფელ ომალოში საკადასტრო კოდი: 50.26.33.012 -ზე მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილის - 32.42 კვ.მ ფართისა და მასში განთავსებულის სამაცივრე ინვენტარის პირობიანი აუქციონის წესით გაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის, ბე-ს თანხის, ბიჯის ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ.

კერძო ინიციატივის საფუძველზე, 2024 წლის 17 ივლისის N 32-862419990 წერილით მიემართა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ სარგებლობაში არსებული, თუშეთში სოფელ ომალოში საკადასტრო კოდი: 50.26.33.012 -ზე მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილის - 32.42 კვ.მ ფართისა და მასში განთავსებულის სამაცივრე ინვენტარის პირობიანი აუქციონის წესით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

„მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N 669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 დეკემბრის დადგენილება N 75 - "ახმეტის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" - მუხლი 3 და მუხლი 7, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 აგვისტოს N 86-8624225108 წერილის, თუშეთში სოფელ ომალოში საკადასტრო კოდი: 50.26.33.012 -ზე მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილის - 32.42 კვ.მ ფართისა და მასში განთავსებულის სამაცივრე ინვენტარის პირობიანი აუქციონის წესით, გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ, საშემფასებლო კომპანია შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს დირექტორის გ. ჯიბლაძის და აუდიტორ-შემფასებლის ს. ბაკურაძის 2024 წლის 24 მაისის N243 აუდიტორული დასკვნის და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1) განხორციელდეს, ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ სარგებლობაში არსებული, თუშეთში, სოფელ ომალოში საკადასტრო კოდი: 50.26.33.012 -ზე მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილის - 32.42 კვ.მ ფართისა და მასში განთავსებულის სამაცივრე ინვენტარის სარგებლობაში გადაცემა პირობიანი აუქციონის წესით.
2) დამტკიცდეს პირველ პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების განკარგვის პირობები:
ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური - 13000.00 (ცამეტიათასი) ლარის ოდენობით.
ბ) აუქციონის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის „ბე“-ს თანხა, წლიური ქირის საწყისი საფასურის 30%-ით - 3900,00 (სამიათასცხრაასი) ლარის ოდენობით.

გ) ბიჯის ოდენობა საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5 %-ით, 650,00 (ექვსასორმოცდაათი) ლარით.
დ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 15 წელი.
ე) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა:
- იჯარის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან ორი წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ 5000 (ხუთიათასი) ლარის ინვესტიცია (სამაცივრე სივრცის შიდა/გარე განათების მოწყობა; შენობის შიგნით სველი წერტილების მოწყობა).
- იჯარის საგანზე განახორციელოს სამაცივრე სივრცის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარის შეძენა.
- სამაცივრე სივრცის ფუნქციონირების დაწყებამდე უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება (ლიცენზიები, ნებართვები).
- ხელშეკრულების ვადის დასრულების და/ან მოიჯარის მიერ აუქციონის რომელიმე პირობის დარღვევის საფუძვლით, ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ობიექტზე დამატებით მოწყობილი ინფრასტრუქტურა ყოველგვარი ანაზღაურებისა და კომპენსაციის გადახდის გარეშე რჩება ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის საკუთრებაში;
- იჯარის სრულ პერიოდზე უწყვეტად შეინარჩუნოს გადაცემული ქონება გამართულ და ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში; აგრეთვე, უწყვეტად უზრუნველყოს ხორცისა და ხორცპროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის მომსახურება ყოველი წლის ტურისტულ სეზონზე (ივნისი-სექტემბერი).

მოიჯარის მიერ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე სააუქციონო პირობის დარღვევა წარმოადგენს ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ მიერ ხელშეკრულების ვადამდე მოშლის საკმარის საფუძველს.

3) მე-2 პუნქტში წარმოდგენილი აუქციონის პირობები ინკორპორირებულ იქნეს იჯარის ხელშეკრულებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული აუქციონის რომელიმე პირობის დარღვევა წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის (მოშლის) საფუძველს.
4) დაევალოს ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ ბუღალტერს ნაირა ლაგაზაურს კანონმდებლობის შესაბამისად აუქციონის შესახებ სათანადო ინფორმაცია განათავსოს ადმინისტრაციის ვებ. გვერდზე www.tushetipl.ge და ოფიციალურ ვებ. გვერდზე www.eauction.ge
5) ბრძანება ამოქმედდეს გამომოცემისთანავე.
6) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N 41).

ლადო კახოიძე

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია-
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი